ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–2616

"10" ნოემბერი 2017 წ.

„ქ. თბილისში, ქარელის ქ. №25-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.10.17.013.019, 01.10.17.013.002, 01.10.17.013.021, 01.10.17.013.022), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის №4108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 28 სექტემბრის №39 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, ქარელის ქ. №25-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.10.17.013.019, 01.10.17.013.002, 01.10.17.013.021, 01.10.17.013.022), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის №4108 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქარელის ქუჩა №25/ნატახტარის ქუჩა №20/ნატახტარის ქუჩა №20ა-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: №№01.10.17.013.019, 01.10.17.013.027) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქარელის ქუჩა №25/ნატახტარის ქუჩა №20/ნატახტარის ქუჩა №20ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №№01.10.17.013.019, 01.10.17.013.027), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: მიწის ნაკვეთისთვის, საკადასტრო კოდი: № 01.10.17.013.027, კ2=4,4, მიწის ნაკვეთისთვის - საკადასტრო კოდი: №01.10.17.013.019, კ2=4,8.“;

გ) დაემატოს მე-2 პრიმა პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2[1]. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადასახდელი იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE87TB7002533030100340.) მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: № 01.10.17.013.027) კ2=4,4, 276 667.73 (ორასსამოცდათექვსმეტი ათას ექვსასსამოცდაშვიდი ლარი და სამოცდაცამეტი თეთრი) ლარის ოდენობით.“.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია